ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის

ნათია მოდებაძის

ანგარიში

2022 წლის
ანგარიში

- 2021 წლის დეკემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს წევრი პროპორციული წესით. ასევე, გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

  ასევე, ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრი. აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და საქმიანობაში.

ფრაქციული მუშაობა

დედაქალაქის მე-7 მოწვევის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისაგან შედგება. უმრავლესობის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განვიხილავთ და შესაბამის რეკომენდაციებს გავცემთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე. მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისაგან ვისმენთ ანგარიშებს გაწეული სამუშაოების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 23 სხდომა და განვიხილეთ 42 საკითხი. მათ შორის, ისეთი მნიშვნელობის საკითხები, როგორიც არის დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, ასევე, სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული, ურბანული თუ გარემოს დაცვითი პოლიტიკის საკითხები.

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 15 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 649 დადგენილება და 113 განკარგულება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge).

მონაწილეობა კომისიებში

რაც შეეხება კომისიებში ჩვენს ჩართულობას, გარდა ინიციატივებისა, საკითხების განხილვისა და ანგარიშების მოსმენისა, ვესწრებით სხვადასხვა ღონისძიებას და გასვლითი სამუშაო შეხვედრებით ვეცნობით მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების მუშაობას.

- ✓ განათლებისა და კულტურის კომისია

საანგარიშო პერიოდში გაიმართა 16 სხდომიდან, რომელზეც განხილულ იქნა 49 საკითხი, აქედან დავესწარი 8 სხდომას და განვიხილე 37 საკითხი. მათგან გამოვყოფდი:

1. „თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესში ცვლილება, რომლითაც გაჩნდა საგამონაკლისო ნორმა;

2. სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილება (უკრაინის მოქალაქეთათვის გამარტივებული ფორმით ბაღში რეგისტრაცია);

3. „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის შესახებ“ თბილისის საკრებულოს დადგენილების ცვლილება (გაიზარდა დაფინანსების მიმღებ პირთა წრე);

საანგარიშო წელს, თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან ერთად დაფუძნდა „წლის მკითხველის“ წოდება და დაჯილდოვდნენ საუკეთესოები, ხოლო ქართული სამუზეუმო კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაწესდა ჯილდო, რომელიც იშვიათი, ნოვატორული ხედვის დიზაინერის დაჯილდოებას ისახავს მიზნად; გარდა ამისა, კომისიის გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად ჩატარდება ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი, რომლის მიზანია თბილისის ბავშვთა ფოლკლორული (კერძო და არა სახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი) გუნდების მოტივაცია, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; რაც შეეხება პროექტს „ოპერა შენს ეზოში“, აღნიშნული ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის 170-ე საიუბილეო წელს მიეძღვნა. პროექტის მიზანია ქალაქის თითოეული უბნის მცხოვრებს შესაძლებლობა მიეცეს თავისი უბნის სკვერში/ეზოში ეზიაროს საოპერო ხელოვნებას.

✓ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების კომისია

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის 16 სხდომა და განხილულ იქნა 45 საკითხი. ჩემი მონაწილეობით ჩატარდა 9 კომისიის სხდომა და განვიხილე 37 საკითხი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის 2022 წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 153 612 200 (ასორმოცდაცამეტიმილიონ

ეექვსასთორმეტიათას ორასი) ლარს შეადგენს. ამჟამად ჯანდაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით თბილისში მუშაობს 35 ცალკეული პროგრამა თავისი ქვეპროგრამებით, ხოლო ყოველწლიურად ამ მიმართულებით ხდება ახალი პროგრამების დანერგვა და შესაბამისად, ხდება ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების პროგრამული ბიუჯეტის ზრდა.

2022 წელს გაგრძელდა იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილნი არიან გარანტირებული სოციალური დახმარებით. მნიშვნელოვანი პროგრამებიდან გამოვყოფ რამდენიმეს:

- ,,სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები“,
- ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება“,
- ,,სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება“,
- ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა“,
- ,,უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა“,
- ,,სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები“ და ა.შ.

საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი ბიუჯეტით, 2022 წელსაც, გაგრძელდა თბილისის რაიონის გამგეობების მიერ მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება.

გაზრდილი ბიუჯეტით, ჯამურად დამტკიცდა ჯანმრთელობის დაცვის შვიდი ქვეპროგრამა :

1. ,,დაავადებათა სკრინინგის“,
2. „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის“,
3. ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“,
4. „ტრანსპლანტაციის“,
5. ,,ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“,
6. „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების“
7. „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსება“.

ქვეპროგრამებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნია სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების 500 ლარით დაფინანსების ქვეპროგრამა იმ პირებისათვის, რომელთაც აღნიშნული სტატუსი მინიჭებული აქვთ ქალაქ თბილისში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს და

აუცილებელია ითქვა საკრებულოს მხარდაჭერილ ერთჯერად დახმარებებსა და კომპენსაციებზე, ამ მიმართუ;ებით აღსანიშნია „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი”, რომლის მიხედვითაც გამგეობის უფლებამოსილების ფარგლებში ბინის ქირის არსებული საკომპენსაციო თანხა 500 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

აღნიშნულ კომისიაში, საანგარიშო პერიოდში გამართული 70 სხდომიდან, დავესწარი 32 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 2000-ზე მეტი საკითხის განხილვაში და მოვუსმინე 1000-მდე მოქალაქეს.